თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 1**

„06“ იანვარი 2017 წელი

## თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16-ე მუხლის მეოთხე ნაწილის და ამავე კოდექსის მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად დამტკიცდეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე შ.შ.მ პირთა 18 წლამდე შვილების დახმარების პროგრამა ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად;
2. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე , დევნილთა , უპატრონო მიცვალებულთა და სამამულო ომის მონაწილესთან გათანაბრებულ პირთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა ჩამოყალიბდეს დანართი №2-ის შესაბამისად;
3. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დახმარების პროგრამა ჩამოყალიბდეს დანართი №3-ის შესაბამისად;
4. ეკონომიურად გაჭირვებული მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა ჩამოყალიბდეს დანართი №4-ის შესაბამისად;
5. საცხოვრებლად უვარგისი და ხანძრის შედეგად დაზიანებული ბინების მეპატრონეებისათვის სამშენებლო მასალების შესაძენად დახმარების გაწევის პროგრამა ჩამოყალიბდეს დანართი №5-ის შესაბამისად;
6. საცხოვრებლად უვარგისი ბინების მქონე მოქალაქეთათვის დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის დახმარების პროგრამა ჩამოყალიბდეს დანართი №6-ის შესაბამისად;

7. შ.შ.მ.პირთა, დევნილების, მრავალშვილიანი ოჯახების და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახების ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფის პროგრამა ჩამოყალიბდეს დანართი №7-ის შესაბამისად;

8. ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა დანართი №8-ის შესაბამისად;

9. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ჩამოყალიბდეს დანართი N9-ის შესაბამისად;

10. მოქალაქეთა დიალეზით მკურნალობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის ჩამოყალიბდეს დანართი №10-ის შესაბამისად;

11. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლები კერძოდ: სოფ. ლაფანყურში, ნასამხრალსა და თეთრწყლებში პედაგოგთა და ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა ჩამოყალიბდეს დანართი №11-ის შესაბამისად;

12. ეკონომიურად გაჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა ჩამოყალიბდეს დანართი №12-ის შესაბამისად;

13. სახელმწიფო-საბიუჯეტო ორგანიზაციებში საწარმოო ტრამვის შედეგად დაზარალებულ პირებზე დახმარების პროგრამა ჩამოყალიბდეს დანართი № 13-ის შესაბამისად;

14. შ.შ.მ პირთა და ქალთა ცენტრის დახმარების პროგრამა თელავის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდეს დანართი № 14-ის შესაბამისად;

15. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

16. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის ქ. N41).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №1*

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე შ.შ.მ პირთა 18 წლამდე შვილების დახმარების პ რ ო გ რ ა მ ა

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 01 იანვარი 2017წ.
01 იანვარი 2018 წ

2. პროგრამის დაფინანსების წყარო:
თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

3 .საკითხის მოკლე აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება, რომლის საფუძველზეც
დგება პროგრამა:

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე შ.შ.მ პირთა შვილებს სჭირდებათ თანაგრძნობის გამოხატვა თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისაგან და ნებისმიერი ადამიანისგან. ამიტომაა, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაგრძელდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე, შ.შ.მ პირთა შვილების დახმარების პროგრამა.

2016 წელს პროგრამაში ჩართული იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, შ.შ.მ პირთა 6 ბავშვი, ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთა 3 , სულ 9 ბავშვი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე, შ.შ.მ პირთა შვილებზე, თვითოეულზე ყოველთვიურად გაიცეს 150 ლარის ოდენობით.

აღნიშული პროგრამის შესრულება განახორციელოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა განყოფილებამ.

4. პროგრამის მიზანი: თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე, შ.შ.მ პირთა შვილების ყოველთვიური დახმარება, მათი ეკონომიური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესების მიზნით.

5.პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია

ყოველთვიურად თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტიდან მიიღებს ფულად დახმარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე, შ.შ.მ პირთა ოჯახების ბავშვები. პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებს წარმოდგენილი უნდა ჰქონდეთ:

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლის, ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილის - შ.შ.მ პირის დამადასტურებელი საბუთი;

ბ) პროგრამაში მონაწილე ბავშვის დაბადების მოწმობის ქსეროასლი

გ) დახმარების მიმღები მშობლის (მეურვის)პირადობის ქსეროასლი.

6.პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით.
ა. ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფულადი დახმარების გაცემა, დახმარებების მიღება მოხდება საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ ბანკში მშობლის ან მეურვის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ.
7. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს (გამგეობას).
8.პროგრამის ბიუჯეტი: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

9. წლის განმავლობაში პროგრამაში ცვლილებები შევა საჭიროების შემთხვევაში.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №2*

მეორე მსოფლიო ომში მონაწილეთა და მასთან გათანაბრებულ პირთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე შ.შ.მ პირთა, დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის

პ რ ო გ რ ა მ ა

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 01 იანვარი 2017 წ.
01 იანვარი 2018 წ.

2. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ა. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი და მიზნობრივი ტრანსფერი.

3. საკითხის მოკლე აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება:

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა აღნიშნავს რომ, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებზე მონაწილე შ.შ.მ პირთა, დევნილთა, უპატრონო მიცვალებულთა,სამამულო ომის მონაწილეებთამ გათანაბრებულ პირთა სარიტუალო მომსახურეობის უზრუნველყოფის პროგრამით მოხდება სარიტუალო თანხების გაცემა, რითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოიხატება თანადგომა იმ პირთა ოჯახების მიმართ, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ჩვენს ქვეყანას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და მათთან გათანაბრებულ პირებზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე შ.შ.მ პირების ოჯახებზე მოხდეს სარიტუალო თანხის გაცემა თითოეულ ოჯახზე 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო გარდაცვლილი დევნილების და უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯებისათვის 200(ორასი)ლარის ოდენობით.

4. პროგრამის მიზანი:

თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გარდაცვლილ და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, დევნილთა და უპატრონო,აგრეთვე ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირების ოჯახებისათვის სახელმწიფოს თანადგომა.

5. პროგრამების ამოცანები:

გარდაცვლილის ოჯახის დახმარება. რისთვისაც საჭიროა ომის მონაწილის ან მასთან გათანაბრებული პირების აგრეთვე ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილის ოჯახის წევრებმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები :

ა)გარდაცვლილის გარდაცვალების მოწმობის ქსეროასლი;

ბ) ომის მონაწილის მოწმობის ქსეროასლი;

გ) სოციალური მომსახურების სააგენტოდან ცნობა, თუ რა სახის პენსიას იღებდა გარდაცვლილი;

დ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

ე) ჩერნობილის სალიკვიდაციო საშაოებზე მონაწილის მოწმობა ან (სამხედრო ბილეთი).

ვ) საბანკო რეკვიტები.

იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალებისას მისი ოჯახის წევრმა უნდა წარმოადგინოს:

ა) გარდაცვლილის გარდაცვალების მოწმობა ქსეროასლი;

ბ) დევნილის მოწმობის ქსეროასლი;

გ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი.

უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში:

ა)გარდაცვლილის მეზობლების ერთობლივი განცხადება;

ბ) გარდაცვლილის გარდაცვალების მოწმობის ასლი;

გ) ერთ-ერთი მეზობლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

დ) ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის დასკვნა რომ გარდაცვლილი უპატრონოა.

ე) საბანკო რეკვიზიტები.

6. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა. მეორე მსოფლიო ომში მონაწილე;

ბ. ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე;

გ. იძულებით ადგილნაცვალი პირი;

დ.უპატრონო მიცვალებული;

ე.საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები და მათთან გათანაბრებული პირები.

7. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

ა. პროგრამის ბენეფიციართა დადგენა;

ბ. ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მეშვეობით;

8. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს (გამგეობას).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №3*

სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დახმარების
პ რ ო გ რ ა მ ა

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 01 იანვარი 2017წ.
01 იანვარი 2018წ.

2. პროგრამის დაფინანსების წყარო:
თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

3. პროგრამის მოკლე აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება:

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეებისათვის საერო და რელიგიური დღესასწაულებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების ან საჩუქრების გადაცემას.

პროგრამას ახორციელებს გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილება.

4. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:

ა. მრავალშვილიანი დედები;
ბ. უდედმამო ბავშვები;
გ. 100 წელს გადაცილებული მოხუცები;
დ. 9 აპრილს დაზარალებულები;
ე. შშმ პირები;
ვ. სამამულო ომის მონაწილეები და მათთან გათანაბრებული პირები;
ზ. საქართველოს მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა და შ.შ.მ პირთა ოჯახები;
თ. მარტოხელა დედები (პირები);
ი. დევნილები;
კ. ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეები;
ლ.ღვაწლმოსილი პედაგოგები.
მ. უდედმამო ბავშვები.
ნ.ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილებისათვის 1000 ლარი.

5. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

ა. პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობის დადგენა ხდება სოციალური დახმარების სააგენტოდან და თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან მოძიებულ სიებზე დაყრდნობით, ან მუნიციპალიტეტში შემოსული განცხადებების გათვალისწინებით;

ბ.ბენეფიციარებზე სადღესასწაულოდ თანხების რაოდენობის დადგენა მოხდეს ,,ეკონომიურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დახმარების გაწევის „კომისიის მიერ,ან გამგებლის ბრძანებით.

ბ. ფულადი დახმარების და საჩუქრების გაცემა;

6. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს (გამგეობას).

7. პროგრამის დაფინანსების წყარო:
თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.
8. წლის განმავლობაში პროგრამაში ცვლილებები შევა საჭიროების შემთხვევაში.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №4*

## ეკონომიურად გაჭირვებულ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების პ რ ო გ რ ა მ ა

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 01 იანვარი 2017წ.
01 იანვარი 2018წ.

2.პროგრამის დაფინანსების წყარო:
თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

3. საკითხის მოკლე აღწერა, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:
მიუხედავად ქვეყანაში სიღარიბის აღმოსაფხვრელად განხორციელებული მრავალი ღონისძიებისა ჯერ კიდევ არიან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები და დევნილები, მათი მძიმე მატერიალური ყოფის შემსუბუქების მიზნით თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გადაწყვიტა გაგრძელდეს ,,ეკონომიურად გაჭირვებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარების“პროგრამა და მისი ოდენობა განისაზღვროს 50-100 ლარის ფარგლებში. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მუდმივად მცხოვრებ პირებს,აგრეთვე იმ პირებს რომლებიც არ არიან რეგისტრირებული,მაგრამ ბოლო 1 წლის მანძილზე ცხოვრობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

4. პროგრამის მიზანი:

ა. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკონომიურად გაჭირვებული სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისთვის ფულადი დახმარების გაწევა.

5 . პროგრამის ამოცანა:
თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ან გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილების თანამშრომლების მიერ ოჯახების გადამოწმებით, ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სოციალური მდგომარეობის შესწავლა, შესაბამისი კომისიის მიერ შერჩეული ბენეფიციარებისათვის ფულადი დახმარების გაწევა.

6. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:

ა) მოქალაქეები რომელთა სარეიტინგო ქულა 60.000 -მდეა, იღებენ სოციალურ დახმარებას და პენსიას მათზე ერთჯერადი დახმარება არ გაიცემა.

შენიშვნა: ოჯახებს რომელთაც ჰყავთ ონკოლოგიური დაავადებით ან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ბავშვები ან ოჯახის რომელიმე წევრი არის მკვეთრად გამოხატული შ.შ.მ პირი მათზე სარეიტინგო ქულებზე შეზღუდვა არ იქნეს გათვალისწინებული. ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრება ,,ეკონომიურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დახმარების გაწევის კომისიის“ გადაწყვეტიების შესაბამისად, ხოლო მუნიციპალიტეტის სპოტულ სექციებში ვარჯიშის დროს, ან სპორტული შეჯიბრების დროს მოღებული ტრამვის შემთხვევაში სპორტსმენებზე ერთჯერადი დახმარება განისაზღვროს 200 ლარის ოდენობით.

7. მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) მოქალაქის განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

გ) თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

დ) სოც.სააგენტოდან ცნობა სარეიტინგო ქულების შესახებ.

8. ფულადი დახმარებების გაცემა ხდება ეკონიმიურად გაჭირვებულ მოქალაქეებზე შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით;

პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს(გამგეობას).

პროგრამაში ცვლილებები შევა წლის განმავლობაში საჭიროების შემთხვევაში.

პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მიეწოდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №5*

## საცხოვრებლად უვარგისი და ხანძრის შედეგად დაზიანებული ბინების მეპატრონეებისათვის სამშენებლო მასალების შესაძენად დახმარების გაწევის პროგრამა

1. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01.იანვარი 2017წ
01.იანვარი 2018წ

2. პროგრამის დაფინანსების წყარო.

ა. ძირითადი: თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

3. საკითხის მოკლე აღწერა ,რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ოჯახები რომელთაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ან ხანძრის შედეგად დაზიანებული ბინები და არიან მძიმე სოციალურ ეკონომიურ მდგომარეობაში, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაითვალისწინა რა მათი მძიმე მდგომარეობა, გადაწყვიტა ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით მოახდინოს სამშენებლო მასალების გამოყოფა 1000 ლარის ფარგლებში ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით.

4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა. კატეგორია რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000 -ს, რომელთაც ხანძრის შედეგად გაუნადგურდათ საცხოვრებელი ან აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები. უპირატსობა მიენიჭოს 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვებს და შ.შ.მ პირების ოჯახებს აღნიშნულ კატეგორიას არ შეეხოს სარეიტინგო ქულების შეზღუდვა.

5. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობის დადგენა და მათი სოციალური მდგომარეობის შესწავლა რისთვისაც საჭიროა თითოეულმა განმცხადებელმა წარმოადგინოს:

ა. განცხადება;

ბ. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

გ. ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

დ.ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ;

ე. თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის საცხოვრებლად უვარგისი და ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლების და შენობა-ნაგებობების შემსწავლელი მუშა ჯგუფის დასკვნა (აქტის ასლი) ბენეფიციართა სახლების მდგომარეობის შესახებ.

6. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს (გამგეობას).

საკრებულოს თავმჯდომარე ბაატა გიორგობიანი

*დანართი №6*

**საცხოვრებლად უვარგისი ბინების მქონე მოქალაქეთათვის დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა**

1. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი : 01 იანვარი 2017 წ
01 იანვარი 2018 წ

2. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ა. ძირითადი: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

3. საკითხის მოკლე აღწერა, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახები რომლებსაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები სადაც ცხოვრება ფაქტიურად შეუძლებელია და საფრთხეს უქმნის მოქალაქეების სიცოცხლეს ან მათ ჯანმრთელობას ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი ბინები, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაითვალისწინა რა მათი მძიმე სოციალური მდგომარეობა, გადაწყვიტა ამ ოჯახების წევრების უსაფრთხოების მიზნით მოხდეს მათი ბინის ქირით უზრუნველყოფა გარკვეულ დრომდე 50-დან 100 ლარის ბინის ქირის საფასურის გადახდით.

4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა. სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად გაჭირვებული მოქალაქეები რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ ბინები ან იმდენად ავარიული ბინები აქვთ, რომ იქ ცხოვრება საფრთხეს უქმნის ოჯახის წევრების სიცოცხლეს. უპირატესობა მიენიჭოს მრავალშვილიან და შ.შ.მ პირთა ოჯახებს.

5. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

1. პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობის დადგენა და მათი სოციალური მდგომარეობის შესწავლა რისთვისაც საჭიროა თვითოეულმა განმცხადებელმა წარმოადგინოს :

ა. განცხადება;

ბ. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

გ. ადმინისტრაციული ერთეულიდან გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

ე.ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ;

6. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს (გამგეობას).

საკრებულოს თავმჯდომარე [signature] პაატა გიორგობიანი

*დანართი №7*

## მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, დევნილების, მრავალშვილიანი ოჯახების, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახების და შშ სტატუსის მქონე ბავშვების ოჯახების ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფის პროგრამა

1. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2017წ
   01 იანვარი 2018წ

2. პროგრამის დაფინანსების წყარო:
   ა. თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.
3. პროგრამის მოკლე აღწერა რის საფუძველზეც დგება პროგრამა:
   თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაითვალისწინა რა ისეთი კატეგორიის ოჯახების მდგომარეობა როგორებიც არიან მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, დევნილები, მრავალშვილიანი ოჯახები (რომლებსაც ჰყავთ ოთხი და მეტი შვილი 18 წლის ასაკამდე), შშ სტატუსის მქონე ბავშვების ოჯახები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახები, გადაწყვიტა თითოეული ამ კატეგორიის ოჯახისათვის ყოველთვიურად დახმარების სახით გამოეყოს ელექტროენერგიის ღირებულება 8 ლარის ოდენობით რომელიც ჩაერიცხებათ კახეთის ენერგოდისტრიბუციაში გახსნილ მათ ანგარიშზე.

4. ამ პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:
ა. მკვეთრად გამოხატული შშმ პირები;
ბ. მრავალშვილიანი ოჯახები რომლებსაც ჰყავთ ოთხი ან მეტი შვილი 18 წლის ასაკამდე.
გ. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახები;
დ. დევნილები;
ე. 18 წლამდე შშ სტატუსის მქონე ბავშვების ოჯახები.
5. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:
ა. პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობის დადგენა ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის რაიონულ განყოფილებიდან მოწვდილი მკვეთრად გამოხატული შშ მქონე პირთა სიები სოფლების მიხედვით.
ბ. თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული მრავალშვილიანი ოჯახების სიების მიხედვით რომლებსაც ჰყავთ 18 წლის ასაკამდე 4 და მეტი შვილი, ხოლო ის ოჯახები რომლებსაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი და ჩართულნი არ არიან გამგეობის პროგრამაში ცნობა წარმოადგინონ ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის რაიონული განყოფილებიდან.
დევნილებმა უნდა წარმოადგინონ:
ა. დევნილობის დამადასტურებელი საბუთის ქსეროასლი;
ბ. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
გ. განცხადება პროგრამაში ჩართვის შესახებ;
დ. ელ. ენერგიის ქვითარი;

შშ სტატუსის მქონე ბავშვის ოჯახებმა უნდა წარმოადგინონ:

ა. შშ სტატუსის მქონე ბავშვის დამადასტურებელი საბუთი;
ბ. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
გ. მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
დ. ელ.ენერგიის ქვითარი;
ე. განცხადება ელ. ენერგიის დახმარების დაფინანსების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №8*

# ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 01 იანვარი 2017 წ.
01 იანვარი 2018 წ.

2. პროგრამის დაფინანსების წყარო:
ა) თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

3. საკითხის მოკლე აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ყველასათვის ცნობილია თუ რაოდენ მძიმე პერიოდი გაიარა საქართველომ ამ ბოლო წლების განმავლობაში, რამაც გამოიწვია მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, ეს კი თავისთავად აისახა ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე. გარკვეულწილად ამ სერიოზული ეროვნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა სოციალურ სფეროში გატარდეს რიგი ღონისძიებები. სწორედ ამიტომაა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუშაობს „ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა", რომლის თანახმადაც ყოველ ოჯახში 2015 წლის 1 იანვრიდან სადაც პირველი ან მეორე ბავშვი დაიბადება გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ დასახელებული პროგრამა გაგრძელდეს 2017 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე, რომლის საფუძველზეც თითოეულ ასეთ ოჯახზე გაიცემა თანხა პირველ ბავშვზე 100 ლარი მეორე ბავშვზე 150 ლარი ხოლო ტყუპების დაბადების შემთხვევაში გაიცემა 200 ლარი.

4. პროგრამის მიზანი

არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალშობილთა ოჯახებზე, სადაც პირველი ან მეორე ბავშვი დაიბადება, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცეს.

5. პროგრამის ამოცანები

ა. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ოჯახის ექიმების მიერ ყოველთვიურად მოწვდილ ახალშობილთა მონაცემების მიღება.

ბ. ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მიერ გაცემული შუამდგომლობა(როცა მამა რეგისტრირებული არ არის თვითმმართველი თემის ტერიტორიაზე).

6. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია:

თელავის მუნიციპალიტეტში დაბადებულ ყველა ახალშობილის ოჯახს, სადაც პირველი ან მეორე ბავშვი დაიბადება ერთჯერადი დახმარების სახით გამოეყოფა პირველ ბავშვზე 100 ლარი, მეორე ბავშვზე 150 ლარი, ხოლო ტყუპების დაბადების შემთხვევაში 200 ლარი. ასეთი ოჯახის რაოდენობა სავარაუდოდ 2017 წლის განმავლობაში 400 ახალშობილი .

7. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

ა. პროგრამის ბენეფიციართა დადგენა ხდება თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებიდან ყოველთვიურად მოწვდილ ახალშობილთა სიის მიხედვით. სიას თანდართული უნდა ჰქონდეს ახალშობილის

დაბადების და მამის პირადობის მოწმობის ქსეროასლები (ბავშვის მამის რეგისტრაციის ადგილი აუცილებელია იყოს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი). იმ შემთხვევაში, თუ ახალშობილის მამა არ არის რეგისტრირებული თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში, მაგრამ ბოლო სამი წლის განმავლობაში ოჯახით ცხოვრობს აღნიშნულ ტერიტორიაზე რასაც შუამდგომლობით დაადასტურებს გამგებლის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში. ამ დოკუმენტის საფუძველზე მოხდება „ახალშობილთა" ერთჯერადი დახმარების პროგრამაში ჩართვა თუ ბავშვის დედა არის მარტოხელა დედის სტატუსის მატარებელი, ასეთ შემთხვევაში ბავშვის დაბადების მოწმობის ქსეროასლთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იქნას დედის პირადობის მოწმობის ქსეროასლი (აუცილებელია დედა რეგისტრირებული იყოს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე) და მარტოხელა დედის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა.

ბ. ფულადი დახმარების გაცემა მოხდეს ბავშვის დაბადებიდან არაუმეტეს 6 თვის მანძილზე.

გ. ერთჯერადი დახმარების მიღება მოხდება მას შემდეგ, რაც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური თანხას გადარიცხავს ბანკში ერთ-ერთი მშობლის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე.

დ. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს (გამგეობას).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №9*

# მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 01 იანვარი 2017 წ.
01 იანვარი 2018 წ.

2. პროგრამის დაფინანსების წყარო:
ა) თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.
3. საკითხის მოკლე აღწერა:

ქვეყნის წინსვლისათვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი შობადობის გაზრდის ხელშეწყობაა. სამწუხაროა, რომ დღეის მდგომარეობით თელავის მუნიციპალიტეტში არცთუ ისე ბევრი მრავალშვილიანი ოჯახია, ამის მიზეზი კი ყოველდღიური ყოფითი პრობლემებია. აღნიშნულიდან გამომდინარე თელავის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა გაგრძელდეს 2015 წლის მაისიდან მოქმედი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ( სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია) ამასთან ოჯახების წახალისების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასეთ ოჯახში თითოეულ ბავშვზე ფინანსური დახმარება ყოველთვიურად გაიცეს 30 ლარის ოდენობით.

4. პროგრამის მიზანი

თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000 ქულას ჩართული იქნენ პროგრამაში.

5. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია

პროგრამით გათვალისწინებულია მრავალშვილიანი ოჯახების (სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია) ყოველთვიური დახმარება. ასეთ ოჯახებში სავარაუდოთ 152 ბავშვი იქნება.

6. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

ა. განცხადებების შესწავლა;

მრავალშვილიანი ოჯახისთვის ფულადი დახმარების დასანიშნად საჭიროა:

1. დედის ან მამის განცხადება დახმარების დანიშვნის შესახებ;
2. მშობლების პირადობის მოწმობის ქსეროასლები;
3. ბავშვების დაბადების მოწმობების ქსეროასლები;
4. ცნობა სოციალური მომსახერების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულების შესახებ;

მშობლების განქორწინების შემთხვევაში თანხა გაიცემა ბავშვების საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, რომელსაც წერილობით დაადასტურებს გამგებლის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში .

ბ. ყოველთვიური ფულადი დახმარების დანიშვნა ხდება იმ შემთხვევაში თუ ბავშვის მამა თელავის მუნიციპალიტეტშია დარეგისტრირებული, ხოლო თუ დედა მარტოხელაა, მაშინ დედა უნდა იყოს თელავის მუნიციპალიტეტში არსებულ მისამართზე დარეგისტრირებული. დახმარებების მიღება მოხდება გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის მიერ ყოველთვიურად ბანკში ერთ-ერთი მშობლის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ.

გ. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს (გამგეობას).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №10*

მოქალაქეთა დიალეზით მკურნალობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა

1. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2017 წ
01 იანვარი 2018წ

2. პროგრამის დაფინანსების წყარო.
ა. ძირითადი: თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.
3. საკითხის მოკლე აღწერა რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:
მიუხედავად სახემწიფოს მიერ გატარებული მთელი რიგი ღონისძიებებისა ჯანდაცვის სფეროში კვლავ რჩება პრობლემები, რომლის მოგვარებაზე ზრუნვა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მოითხოვს ყურადღებას, ერთ-ერთი ასეთია დიალეზზე დამოკიდებული ავადმყოფებისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ამასთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გადაწყვიტა დააფინანსოს დიალეზის პროგრამებში ჩართული ჩვენი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯები, თვითოეული მოქალაქე ყოველთვიურად 70 ლარის ოდენობით.
4. პროგრამის მიზანი.
ა. თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თირკმელებით დაავადებული მოქალაქეები რომლებიც დამოკიდებულნი არიან დიალეზზე მათი ტრანსპორტით უზრუნველყოფა .
5 . პროგრამის ამოცანა:
განცხადებების საფუძველზე ბენეფიციარების სიების დადგენა და მათი რაოდენობის განსაზღვრა.
6. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:
პროგრამით შეიძლება ისარგებლონ ეკონომიურდ გაჭირვებულმა ყველა კატეგორიის ადამიანებმა.
7. პროგრამაში ჩართვისათვის საჭირო დოკუმენტაცია:
ა. განცხადება;
ბ. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
გ. ცნობა ფორმა IV-100 (დედანი),რომელშიც მითითებული იქნება სამედიცინო დაწესებულების დასახელება სადაც გადის მკურნალობას.
დ. ბანკიდან ანგარიშის რეკვიზიტები.
8. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს(გამგეობას).
9. წლის განმავლობაშიპროგრამაში ცვლილებები შევა საჭიროების შემთხვევაში.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №11*

## თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლები კერძოდ სოფ. ლაფანყურში ნასამხარსა და თეთრწყლებში პედაგოგთა და ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა

1. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01. იანვარი 2017 წ
01. იანვარი 2018 წ.

2. პროგრამის დაფინანსების წყარო :
ა.თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი .
3. საკითხის მოკლე აღწერა:
თელავის მუნიციპალიტეტის სოფლების განვითარების და განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, სოფლებში როგორიც არის სოფ. ლაფანყური ნასამხრალი და თეთრწყლები დაინიშნოს სასწავლო წლის პერიოდში დღეში ორჯერ, დღის და საღამოს რეისები მიკრო ავტობუსით პედაგოგების და მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის
4. პროგრამის მიზანი.
თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის სოფლის სკოლებში, სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით, მოსწავლეთა და პედაგოგებისათვის შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად.
5. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:
ლაფანყურის,ნასამხრალის და თეთრწყლების სკოლების პედაგოგები ბავშვები და მომსახურე პერსონალი.
6. პროგრამის სამოქმედო გეგმა:
ა. პროგრამის სამოქმედო გეგმის მიხედვით უპირატესობა მიენიჭება ტენდერში გამარჯვებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.
ბ. საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებები შევა წლის განმავლობაში.
7. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს (გამგეობას).

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №12*

## ეკონომიურად გაჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2017წ. 01 იანვარი 2018წ.

2. პროგრამის დაფინანსების წყარო:

ა) ძირითადი:თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

3. პრობლემის მოკლე აღწერა, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

თელავის მუნიციპალიტეტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ქვეყანაში სიღარიბის აღმოსაფხვრელად განხორციელებული მრავალი ღონისძიებისა ჯერ კიდევ არიან ღარიბები და დაბალშემოსავლიანი ოჯახები, დევნილები, მარჩენალდაკარგული ოჯახები და სხვა კატეგორიის ადამიანები, რომლებიც განიცდიან ეკონომიურ გაჭირვებას. ასეთ ოჯახებში ხშირად იქმნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის თებერვლიდან საქართველოს ყველა მოქლაქე დააზღვია სახელმწიფომ, რის საფუძველზეც უტარდებათ სამედიცინო მომსახურეობა, მაგრამ საყოველთაო სადაზღვეო მომსახურება არ ითვალისწინებს ზოგიერთი დაავადების ან გამოკვლევის სრულ დაფინანსებას. მათი მძიმე მატერიალური ყოფის შემსუბუქების მიზნით თელავის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა გაჭირვებულ ოჯახებს გაეწიოთ თანადაფინანსებით დახმარება იმ შემთხვევაში თუ დაბალშემოსავლიან და ღარიბ ოჯახს შეექმნება მოულოდნელად რაიმე პრობლემა ჯანდაცვის სფეროში.

4. პროგრამის მიზანი:

ა. თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის ეკონომიურად გაჭირვებული ადამიანების სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების ღირებულების თანადაფინანსება სოციალურად დაუცველი და დაბალშემოსავლიანი ფენებისათვი, კერძოდ მარტოხელა დედები, შ.შ.მ პირების ოჯახები, C ჰეპატიტით დაავადებულები, მრავალშვილიანი ოჯახები, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა ოჯახები და ისეთი ოჯახები რომლებიც არ არიან გაჭირვებულები, მაგრამ მოულოდნელად შეექმნათ ისეთი ჯანდაცვის პრობლემა რომლის გადაწყვეტასაც ვერ ახერხებს ოჯახი დამოუკიდებლად.

5. პროგრამის ამოცანა:

განცხადებების და შუამდგომლობის საფუძველზე ბენეფიციართა საყოფადცხოვრებო და სოციალური მდგომარეობის შესწავლა - შეფასება და ბენეფიციარებისათვის ფულადი დახმარების გაწევა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე თელავის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა პროგრამის მუშაობისათვის შექმნილი სოციალურად დაუცველი ფენებისათვის დახმარების გაწევის მიზნით კომისიის გადაწყვეტილებით მოახდინოს ეკონომიურად გაჭირვებული ადამიანების შერჩევა და ფინანსური დახმარების აღმოჩენა.

6. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:

პროგრამით შეიძლება ისარგებლონ ეკონომიურად გაჭირვებული ყველა კატეგორიის ადამიანებმა ან ეკონომიურად შეძლებულმა ადამიანმა იმ შემთხვევაში თუ მას

მოულოდნელად აღმოაჩნდა ისეთი დაავადება რომელთა ბრძოლაშიც უძლური აღმოჩნდა, მათი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად .

7. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

1. პროგრამის ბენეფიციართა დადგენა, რისთვისაც საჭიროა თითოეულმა განმცხადებელმა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ქსეროასლი დედანთან ერთად;

ბ) ცნობა ფორმა IV-100/ა; (დედანი)

გ) ანგარიშ-ფაქტურა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

დ) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ

ე) ადმინიტრსციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

შენიშვნა: თუ მოქალაქე არ არის რეგისტრირებული ადმინისტრაციულ ერთეულში, წარმოადგინოს ცნობა ბოლო ერთი წლის ცხოვრების შესახებ.

ვ) სადაზღვეო კომპანიიდან საგარანტიო წერილის (ასლი)

შენიშვნა: თუ შესაბამის კლინიკიდან გაცემულ ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულია სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი თანხა ამ შემთხვევაში არ არის საჭირო სადაზღვეო კომპანიიდან საგარანტიო წერილის ასლი.

8. თუ ეკონომიურად გაჭირვებული მოქალაქე თხოულობს მედიკამენტების შესყიდვას, საჭიროა განმცხადებელმა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ქსეროასლი დედანთან ერთად;

ბ) ადმინიტრსციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ;

გ) ცნობა ფორმა IV-100/ა; (დედანი) სადაც აღნიშნული იქნება შესაბამისი მედიკამენტების ჩამონათვალი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ ცნობა ფორმა IV-100/ა -ში მითითებულ არ იქნება საჭირო მედიკამენტების ჩამონათვალი, მოქალაქემ წარმოადგინოს ექიმისგან დაწერილი დანიშნულება.

დ) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ;

ე) აფთიაქის ინვოისი(წამლების ჩამონათვალი განსაზღვრული ღირებულებით).

განცხადებებს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად იხილავს გამგეობის დახმარების გაწევის კომისია და იღებს გადაწყვეტილებას თუ რომელ ბენეფიციარს რა რაოდენობის თანხით გაეწევა დახმარება. სამედიცინო მომსახურეობის დახმარების თანხის ოდენობაა არაუმეტეს 500 ლარი. შენიშვნა: ისეთი სახის ოპერაციები რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევის მიერ, მაგრამ მოითხოვს აუცილებლობას, თუ პიროვნება არის შ.შ მქონე და მისი სარეიტინგო ქულები არ აღემატება 150 000 ქულას, ოპერაციის ღირებულება შეადგენს 4 000 ლარს და ზევით ასეთ კატეგორიაზე სამედიცინო დაფინანსება მოხდეს 1500 ლარამდე კომისიის გადაწყვეტილებით.

დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაციის (განცხადების) წარდგენა ბენეფიციარის მიერ სასურველია მოხდეს სტაციონარში ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურეობამდე ან შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით უკიდურეს შემთხვევაში სამედიცნო მომსახურების გაწევიდან ორი კვირის ვადაში.

გამოკვლევების თანხის ოდენობაა არაუმეტეს 400 ლარი, ხოლო მედიკამენტების შეძენა მოხდება არაუმეტეს 200 ლარის ღირებულებით .

ხოლო ისეთი კატეგორია რომელიც არ არის რეგისტრირებული სოციალური მომსახურეობის სააგენტოში ან აქვს ქულა 150 000 -ის ზევით, სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსება, გამოკვლევების დაფინანსება და წვრილი სამედიცინო ინვენტარის შესაძენად დაფინანსება მოხდეს არაუმეტეს 200 (ორასი) ლარით. ხოლო მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების შესაძენად დაფინანსება მოხდეს არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი ბავშვები ან ოჯახის რომელიმე წევრი ონკოლოგიური სენით არის დაავადებული, მათზე სარეიტინგო ქულებზე შეზღუდვა არ იქნეს გათვალისწინებული. ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრება გამგეობაში არსებული ეკონომიურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დახმარების გაწევის კომისიის მიერ.

კომისიის მიერ განსაზღვრულ თანხაზე საგარანტიო წერილი გაიცემა პაციენტის სახელზე.

ვ)ოპერაციებისა და მედიკამენტებით მკურნალობის შემთხვევაში საგარანტიო წერილის ვადა განისაზღვროს გაცემიდან 45 (ორმოცდახუთი)სამუშაო დღით. გამონაკლის შემთხვევაში თუ პრეპარატი საზღვარგარეთიდან შემოაქვთ და ხდება საგარანტიო წერილში მითითებული ვადების დარღვევა, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საგარანტიო წერილის ვადის გაგრძელების საკითხი.

ზ) საგარანტიო წერილში მითითებული ვადების დარღვევის შემთხვევაში კომიასია უფლებამოსილია განიხილოს ვადის გაგრძელების საკითხი.

თ) გამოკვლევებისა და რეაბილიტაციის სპეციალური კურსის ჩატარების შემთხვევაში თუ ხდება საგარანტიო წერილში მითითებული ვადების დარღვევა, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საგარანტიო წერილის ვადის გაგრძელების საკითხი.

ი) სამედიცინო დაწესებულებიდან გამგეობაში შემოსული წერილის (სადაც აღნიშნული იქნება შესრულებული სამუშაო და გამგეობის დავალიანება სამედიცინო დაწესებულების მიმართ), საფუძველზე მომზადებული ბრძანების თანახმად საფინანსო სამსახურის მიერ მოხდება სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა.

კ) სამედიცინო დახმარების თხოვნით შემოსული მოქალაქე ვალდებულია საგარანტიო წერილი წაიღოს კომისიის გადაწყვეტილების მიღების დღიდან 1 თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეებზე საგარანტიო წერილი აღარ გაიცემა და მოხდება მათ მიერ შემოტანილი დოკუმენტაციის ჩამოწერა.

9. წლის განმავლობაში საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში შევა ცვლილებები.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №13*

## სახელმწიფო -საბიუჯეტო ორგანიზაციებში საწარმოო ტრამვის შედეგად დაზარალებულ პირებზე დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი 01. იანვარი 2017 წ.

01. იანვარი 2018 წ.

2. საკითხის მოკლე აღწერა და მისი აქტუალურობის დასაბუთება, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც მუშაობდნენ სახელმწიფო საბიუჯეტო სტრუქტურებში და შეემთხვათ საწარმოო ტრამვა უმძიმესი შედეგებით, კერძოდ ინვალიდობის მკვეთრი ფორმით, შესაბამისი სოციალური პროგრამის არ არსებობის გამო შეუწყდათ საკომპენსაციო დახმარება.

გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი პირები იმსახურებენ სახელმწიფო თანადგომას და ფაქტიურად დარჩნენ შესაბამისი კომპენსაციის გარეშე, მათი მძიმე სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით თელავის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, რომ აღნიშნულ პირებს ყოველთვიურად მისცეს იმ ოდენობის დახმარება რასაც იმ მომენტისთვის მისი თანამდებობრივი სარგო ითვალისწინებს მინუს არსებული პენსია აქტში მითითებული დაზიანების პროცენტის მიხედვით.

3. პროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმძიმესი საწარმოო ტრამვის შედეგად დაზარალებული პირებისათვის მძიმე სოციალურ - ეკონომიკური პირობების ნაწილობრივ გაუმჯობესება.

4. ამ პროგრამით სარგებლობენ სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომხდარი საწარმოო ტრამვის შედეგად დაზარალებული პირები, რომლებმაც დახმარების მისაღებად გამგეობაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) პროგრამაში მონაწილე პირის პირადობის ასლი;

ბ) საწარმოო ტრამვის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ან ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან საწარმოო ტრავმის დადასტურების შესახებ;

გ) განცხდება დახმარების დანიშვნაზე;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100);

ე) ცნობა ხელფასის ოდენობის თაობაზე.

5. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით.

ა) ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფულადი დახმარების მიღება მოხდება გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მეშვეობით ბანკში დაზარალებულის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე.

6. პროგრამის შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

7. შენიშვნა: სახელმწიფოს ან შესაბამისი ორგანიზაციების მიერ კომპენსაციის აღდგენის შემთხვევაში ბენეფიციარებს შეუწყდებათ გამგეობის პროგრამიდან მიღებული კომპენსაცია.

საკრებულოს თავმჯდომარე ვაატა გიორგობიანი

*დანართი N14*

## შ.შ.მ. პირთა და ქალთა ცენტრის დახმარების პროგრამა

1. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01. იანვარი 2017 წ
01. იანვარი 2018 წ

2. პროგრამის დაფინანსების წყარო:
თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი.
პროგრამის მიზანი:
ა) საგანმანათლებლო იდეოლოგიური მუშაობა ქალებთან;
ბ) გენდერული მუშაობა და ქალთა გააქტიურება;
გ) შ.შ.მ პირის დედათა და ბავშვთა რეაბილიტაცია;
დ) მალადობის ფაქტების გამოვლენა-პროფილაქტიკა და ქალთა უფლებების დაცვა;
ე) ქალთა ჩართულობა ოჯახური ურთიერთობების დარეგულირებაში.

## პროგრამის საჭიროება და აღწერა

XXI საუკუნის მიჯნაზე სოფელი მაინც დიდ გაჭირვებას განიცდის როგორც ეკონომიური, ასევე საგანმანათლებლო-იდეოლოგიური კუთხით.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ქალები, რომლებიც სიდუხჭირის მიუხედავად, ცდილობენ შვილების აღზრდასა და ოჯახის ნორმალურად წარმართვას. როგორ გამოსდით მათ ეს- სადაო თემაა.

ქალთა უმრავლესობა მოკლებულია საჯარო სამსახურში დასაქმებას. ისინი ძირითადად დაკავებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, ოჯახური პრობლემებით. საერთო გაჭირვების ფონზე ქალი განიცდის დიდ დეფიციტსა და ზეწოლას შიდა და გარე ფაქტორებისაგან, ხშირად დეპრესიაში ვარდება და არ იცის როგორ გააგრძელოს ცხოვრება: როგორ გაწიოს დედობისა და ქალობის მძიმე ტვირთი. იგი მოკლებულია თანაგრძნობასა და პატივისცემას, რასაც თავად მისი ცხოვრების წესი განსაზღვრავს. იგი მოწყვეტილია ყველაზე მთავარს - საზოგადოებას. უჭირს გააცნობიეროს ადამიანის ცხოვრების რეალური არსი. მას სულ სხვა ცხოვრებას სთავაზობენ სერიალებით ( თავისუფლება, გართობა, მდიდრული კომფორტი) რეალურობა კი სულ სხვაა განსაკუთრებით გარიყულობასა და უიმედობაში არიან ჩვენს გვერდით მცხოვრები შ.შ.მ.პ და მათი მოვლით დაკავებული ქალები: დედები, ბებიები და ა.შ. მათ უჭირთ ორმაგად, სულიერად და ფიზიკურად. ისინი მოწყვეტილნი არიან საზოგადოებასთან ურთიერთობას, მათთვის თითქმის აღარავის სცალია.

გაჭირვება და სულიერი სიცალიერე ხშირად ხდება კომფლიქტის, გარიყულობის, გულგრილობის, შურისა და ღალატის მიზეზი.

ინგრევა ოჯახები, ურთიერთობები, ზარალდებიან ბავშვები-შვილები. ქალის მრჩევლებად ხშირად გვევლინებიან არაკომპეტენტური ,,მეგობრები“, ,,დაქალები“ ან ,,მზრუნველი“ მეზობლები.

მას არა აქვს საშუალება 1-2 საათით მოწყდეს თავის ყოფით პრობლემებს და მოისმინოს საჭირო რჩევები. ვიღაცამ მოუსმინოს, დაარწმუნოს, რომ მოუგვარებელი პრობლემა არ არსებობს, მთავარია მონდომება, დროის სწორად დაგეგმვა - გამოყენება, აქტიური შრომა; მან პირველ რიგში თავისი დიდი დანიშნულებისა და პასუხისმგებლობის შესახებ უნდა გაიაზროს, რომ იგი მთავარი ძალაა ოჯახში - ამინდის შექმნის. რომ სიყვარულით, თავმდაბლობითა და დიდი მონდომებით ყველაფერს შეძლებს. უნდა ვისწავლოთ გულახდილობა და პრობლემების მოგვარება, რომ კარგი დედობა, კარგი მეუღლეობა, კარგი შვილობა - ჩვენი უპირველესი ვალია.

უნდა ვისწავლოთ ა) სწორი აზროვნება
ბ) აქტიურობა
გ) ჩვენი გარემოს სანიმუშოდ მოწყობა
დ) სიკეთის კეთება

ამას შევძლებთ ქალთა ცენტრში ჩვენი აქტიური ჩართვითა და სტუმრობით. ამაზე იზრუნებენ ფსიქოლოგები, ექიმი, პედაგოგი და სხვადასხვა საინტერესო დარგის სპეციალისტად მოწვეული სტუმრები.

## შ.შ.მ პირთა და ქალთა ცენტრი

ქალთა ცენტრი მოიზიდავს და უმასპინძლებს ქალებს ასაკის შეუზღუდავად. ჩატარდება შეხვედრები, საუბრები ტრადიციული ოჯახის, მაღალ ზნეობაზე დაფუძნებული ურთიერთობების, შვილების სწორად აღზრდის, ცოლ-ქმრობის, ერთგულებისა და შრომისმოყვარეობის შესახებ, რასაც საფუძვლად დაედება სარწმუნოებრივი და რელიგიური აღზრდის საწყისები (სანიმუშო ადამიანთა ცხოვრების შესწავლა-გაანალიზება, ოჯახის ტრადიციათა გაგრძელება და ა.შ.)

ქალთა ცენტრში უნდა იყოს სანიმუშოდ მოვლილი გარემო, მაქსიმალურად უბრალო, კოპწია, კომფორტული-ყოველგვარი ზედმეტი სიმდიდრის გარეშე, ყველა ქალისათვის მისაღები და მიღწევადი, თავისი იერ-სახით, სანიმუშოდ მოვლილი ეზო-ბაღითა და ყვავილნარით.

ქალებს თვალნათლივ უნდა დავანახოთ, რომ აქ, ჩვენს სოფელში, ჩვენი მონდომებითა და შრომისმოყვარეობით შეგვიძლია შევქმნათ ასეთივე და უფრო უკეთესი გარემო როგორც შ.შ.მ პირებისათვის ისე მათი ოჯახებისთვის.

ასეთმა ადამიანებმა და მათი მოვლით და ზრუნვით დაკავებულმა ქალებმა უნდა იგრძნონ და გაითავისონ დიდი მოვალეობისა და თანაგრძნობის აუცილებლობა, რომ მათი საქმიანობა დიდი ვალდებულებაა და ხშირად ისინი უფრო სათნონი არიან, ვიდრე ჩვეულებრივი ქალები.

შ.შ.მ პირთა და ქალთა ცენტრმა ხელი უნდა შეუწყოს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. ისინი უნდა დარწმუნდნენ რომ მათზე ზრუნავენ, უყვართ; ქალს უნდა

დავუბრუნოთ იმედი, ხალისი და სურვილი ჰქონდეს სანიმუშო ოჯახი და ჰყავდეს იდეალური შვილები, თუნდაც შ.შ მქონენი, მაგრამ ბედნიერები.

თანხის გადარიცხვა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ა.ა.ი.პ. შ.შ.მ. პირთა და ქალთა ცენტრის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშზე წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი